საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. აპრილის 29. № 8 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო მმართველობა.

108. საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოების შესახებ.

109. საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

108. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წლის მაისის 25-ს დამტკიცებული მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, მუხ. 247) მე-8 მუხლის შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ შემდეგი დებულება ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოების შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს მე-2 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის ოქტომბრის 27-ის დადგენილებისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 23 № ი, მუხ. 241).

3. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობასა და დადგენილებებში სათანადო ცვლილებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1933 წ. თებერვლის 22.

ტფილისი.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოების შესახებ.

I. ძირითადი დებულებანი.

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო უშუალო და ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევს მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების მოქმედებას რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისა, დანაშაულობასთან ბრძოლისა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების და ქონების დაცვის ხაზით ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ფარგლებში.

2. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ეკისრება აგრეთვე უშუალო მომსახურეობა გაუწიოს იმ ქალაქს, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ცენტრია და რომელშიაც მუშათა და გლეხთა მილიციის დამოუკიდებელი საქალაქო სამმართველო არ არის.

3. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს, მოქმედობს მისი ხელმძღვანელობით და საკუთარ პასუხისმგებელია მის წინაშე ავტონომიური რეს-

პუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის მილიციის ორგანოების მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების, დაცვის საერთო ღონისძიებათა სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მილიციის სამმართველო ხელმძღვანელობს აგრეთვე სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივებს.

4. ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო მოქმედობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წლის მაისის 25-ს დამტკიცებული მუშათა და გლეხთა მილიციის დებულებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №, მუხ. 247), ამა დებულებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული წესდებებისა, ბრძანებებისა, ინსტრუქციებისა და სხვა განკარგულებების საფუძველზე.

II. ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ამოცანები.

5. მილიციის ორგანიზაციის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მილიციის სამმართველოს ეკისრება:

ა) მოაწყოს ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ფარგლებში მუშათა და გლეხთა მილიციის ტერიტორიალური ორგანოები, დააწესოს ამ ორგანოების დისლოკაცია და აგრეთვე დაამტკიცოს საუბნო ინსპექტურების დისლოკაცია ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის სოფლებში;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა და გლეხთა მილიციის ქვემდებარე ორგანოებს მათი აპარატისა და მუშაობის პირობების უშუალოდ შესწავლის საფუძველზე და აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებანი ამ ორგანოების განსამტკიცებლად;

გ) მოაწყოს საუწყებო მილიცია და დასდოს ხელშეკრულებანი დაინტერესებულ ორგანოებთან ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების დაცვის ორგანიზაციის შესახებ და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ მუშაობას, რასაც ანხორციელებენ მილიციის ქვემდებარე ორგანოები;

დ) მონაწილეობა მიიღებინოს მშრომელთა ფართო მასებს მილიციის ორგანოებისათვის დაკისრებულ ცალკეულ ვალდებულებათა უშუალოდ შესრულებაში, მოაწყოს ამ მიზნით მილიციის დამხმარე ბრიგადები, ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მოქმედებას და აგრეთვე ქვემდებარე ორგანოების მიერ ამ ბრიგადების წევრების ოპერატიული გამოყენებისათვის წარმოებულ მუშაობას;

ე) განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის შედგენილობაში შემავალი ნაციონალური, ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების მილიციის ორგანოებში გადიდებულ იქნეს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა რიცხვი;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სოფლის აღმასრულებელთა ინსტიტუტის ორგანიზაციას და აგრეთვე შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა განმტკიცდეს ამ აღმასრულებელთა მუშაობა და გაუმჯობესდეს მათი ხელმძღვანელობა მილიციის ქვემდებარე ორგანოების მხრით;

ზ) მოაწყოს ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამწყობრო და სასროლო-სატაქტიკო და აგრეთვე საკავალერიო, ფიზიკური და სპეციალური მომზადება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმეს;

თ) მოაწყოს და ჩაატაროს მუშათა და გლეხთა მილიციის ქვემდებარე ორგანოებზე მიწერილი მილიციის სათადარიგო შედგენილობის მომზადება და გარდამზადება;

ი) განახორციელოს ღონისძიებანი ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეების შრომის პირობებისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

6. რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისა, განსაკუთრებულ ღონისძიებათა განხორციელებისა, საერთო ზედამხედველობისა, მოსახლეობის მომსახურეობისა და კეთილმოწყობის და საზოგადოებრივი სანიტარიის საქმის ზედამხედველობის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ეკისრება—ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის სარაიონო სამმართველოების მოქმედებას იმ ფუნქციების განხორციელების საქმეში, რაც აღნიშნულია მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, მუხ. 247) 17,19 და 20 მუხლში და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 8 №-ი, მუხ. 109) 6,7,8 და 9 მუხლში.

7. დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო სამმართველოების მოქმედებას იმ ფუნქციების განხორციელების საქმეში, რაც აღნიშნულია მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების 18 მუხლში და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების დებულების 10 მუხლში;

ბ) შეისწავლოს დანაშაულობის მოძრაობა ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ფარგლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოაწყოს დანაშაულობათა გამოძიების სამეცნიერო-სატექნიკო მეთოდების გამოყენება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ გამოყენებას;

დ) გააერთიანოს ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ფარგლებში სარეგისტრაციო მასალები.

8. პოლიტიკური მუშაობის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ეკისრება:

ა) მოაწყოს ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებსა და სამწყობრო ნაწილებში პოლიტიკური აპარატი და ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს მის მუშაობას;

ბ) განახორციელოს ღონისძიებანი მილიციის ორგანოების მიერ წარმოებული მუშაობის პოლიტიკური უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე ღონისძიებანი ამ ორგანოების პირადი შედგენილობის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის;

გ) მოაწყოს მუშათა და გლეხთა მილიციის ქვემდებარე ორგანოების და სამწყობრო ნაწილების პირადი შედგენილობის პოლიტიკური მომზადება, ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მომზადებას და განახორციელოს ღონისძიებანი აღნიშნული პირადი შედგენილობის საერთო განათლების და კულტურული დონის ასამაღლებლად;

დ) მოაწყოს სააგიტაციო-სამასო და პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა ქვემდებარე ორგანოების და სამწყობრო ნაწილების პირად შედგენილობაში;

ე) წარმართოს მუშათა და გლეხთა მილიციის ქვემდებარე ორგანოებისა და სამწყობრო ნაწილების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობა და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის პრესას და მილიციის კორესპონდენტთა მუშაობას;

ვ) განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ქვემდებარე ორგანოებისა და სამწყობრო ნაწილების პირად შედგენილობაში გავრცელდეს შრომის სოციალისტური ფორმები.

9. კადრებით უზრუნველყოფის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ეკისრება:

ა) შეისწავლოს ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის კადრები და აწარმოოს ამ კადრების აღნუსხვა საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი ნომენკლატურის თანახმად;

ბ) შეარჩიოს, გაანაწილოს და დანიშნოს ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს პასუხისმგებელი მომუშავეები და ქვემდებარე ორგანოებისა და სამწყობრო ნაწილების ხელმძღვანელ თავმდგომთა შედგენილობის მომუშავეები—მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესისამებრ;

გ) განაგოს ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს გამგებლობაში მყოფი სასწავლებლები, შეარჩიოს ამ სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა კადრები და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა და გლეხთა მილიციის ქვემდებარე ორგანოებისა და სამწყობრო ნაწილების კადრების მომზადებას და გარდამზადებას.

10. მილიციის ფინანსიურ-მატერიალური უზრუნველყოფის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ეკისრება:

ა) შეადგინოს ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებისა და სამწყობრო ნაწილების შენახვის ხარჯთაღრიცხვა, ხელმძღვანელობა გაუწიოს ქვემდებარე ორგანოების და ნაწილების საფინანსო-სამეურნეო მუშაობას და თვალყური ადევნოს ამ ორგანოებსა და ნაწილებში საფინანსო დისციპლინის განხორციელებას;

ბ) შეადგინოს ქვემდებარე ორგანოების და ნაწილების დადგენილი სახის კმაყოფის მოთხოვნილებისა და ამ კმაყოფით მომარაგების გეგმა და თვალყური ადევნოს მათ სათანადო და თავის დროზე მომარაგებას;

გ) განახორციელოს ღონისძიებანი ყველა სახის კმაყოფის რაციონალურად ხარჯვისათვის;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საბინაო მშენებლობას მილიციის ქვემდებარე ორგანოებისა და სამწყობრო ნაწილებისათვის;

ე) განახორციელოს ღონისძიებანი, რათა მილიციის ქვემდებარე ორგანოები და სამწყობრო ნაწილები დაკომპლექტებულ იქნენ ცხენთა შედგენილობით და რათა ისინი მომარაგებულ იქნენ სურსათ-ფურაჟით;

ვ) თვალყური ადევნოს, რათა ზედმიწევნით განხორციელებულ იქნეს ყველა შეღავათი და უპირატესობა, რაც დადგენილია მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეებისა და მათი ოჯახებისათვის;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამკურნალო-სასანიტარო მომსახურეობას, სამკურნალო დაწესებულებებს და დასვენების სახლებს, რაც მოეწყობა ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეებისათვის, და განახორციელოს ღონისძიებანი ქვემდებარე ორგანოებსა და სამწყობრო ნაწილებში სათანადო სასანიტარო პირობების უზრუნველსაყოფად.

11. იმ ქალაქის მომსახურეობას, რომელიც სარესპუბლიკო თუ საოლქო ცენტრია (მუხ. 2), ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მილიციის სამმართველო ანხორციელებს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების დებულების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფლებანი.

12. დაკისრებულ მოვალეობათა განსახორციელებლად ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფლება ეძლევა:

ა) შეიმუშაოს და შეიტანოს ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში (და ეგრეთვე საადმინისტრაციო ცენტრის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში—მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში) დადგენილებათა პროექტები ისეთ საკითხებზე, რაც შეეხება მილიციის ორგანოების მოქმედებას ან მილიციის მომუშავეთა ინტერესებს;

ბ) გამოსცეს ბრძანებები და ინსტრუქციები თავისი მოქმედებისა, მუშათა და გლეხთა მილიციის სამწყობრო ნაწილების მუშაობისა და მილიციის მუშაობის საკითხების შესახებ;

გ) გააუქმოს, შეცვალოს და შეაჩეროს მილიციის ქვემდებარე ორგანოების განკარგულებანი;

დ) განიხილოს მილიციის ქვემდებარე ორგანოთა და თანამდებობის პირთა მოქმედებისა და განკარგულებების გამო შეტანილი საჩივრები.

IV. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს სტრუქტურა.

13. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს სტრუქტურას აწესებს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

---

109. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წლის მაისის 25-ს დამტკიცებული მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, მუხ. 247), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის

ტერიტორიებითურთ, შემდეგი დებულება საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1933 წ. თებერვლის 22.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების შესახებ.

I. ძირითადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოები ანხორციელებენ რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას, სისხლის დანაშაულობასთან ბრძოლას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვას და აგრეთვე მოქალაქეთა პირადი უშიშროებისა და ქონების დაცვას სათანადო ტერიტორიის ფარგლებში— რაიონის ან იმ ქალაქის ფარგლებში, რომელიც არ შედის რაიონის შედგენილობაში და გამოყოფილია დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად.

მუშათა და გლეხთა მილიციის საქალაქო სამმართველო ანხორციელებს აგრეთვე, მისი ქვემდებარე საუბნო ინსპექტორების ან, მის მიერ მოწყობილი მილიციის განყოფილებების მეშვეობით, ქალაქთან შეერთებული სოფლების მომსახურეობას.

2. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოები უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკების თუ ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს, მოქმედობენ მათი ხელმძღვანელობით და სავსებით პასუხისმგებელ არიან მათ წინაშე მილიციის მდგომარეობისა და მუშაობისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ეს სამმართველოები მომსახურეობას უწევენ.

რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საერთო ღონისძიებების სფეროში მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოები ხელმძღვანელობენ აგრეთვე სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს დირექტივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციის სარაიონო სამმართველო იმ ქალაქის მომსახურეობის საკითხებში, რომელიც რაიონის ცენტრია, ხელმძღვანელობს აგრეთვე ამ ქალაქის საქალაქო საბჭოს დარეკტივებს.

3. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოები მოქმედობენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წლის მაისის 25-ს დამტკიცებული მუშათა და გლეხთა მილიციის დებულებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, მუხ. 247), ამა დებულებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს მიერ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამის გარდა—ამ რესპუბლიკების თუ ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამართველოების მიერ, გამოცემული წესდებების, ბრძანებების, ინსტრუქციების და სხვა განკარგულებების საფუძველზე.

4. მუშათა და გლეხთა მილიციის საქალაქო სამმართველოს უშუალოდ ექვემდებარებიან მილიციის საქალაქო განყოფილებანი.

II. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების უფლება-მოვალეობანი.

5. მილიციის ორგანიზაციის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) დააწესონ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს დირექტივების მიხედვით მილიციის ორგანოების ქსელი და უბნები, რომელთაც მომსახურეობას გაუწევენ საუბნო ინსპექტორები;

ბ) გაუწიონ უშუალო და ოპერატიული ხელმძღვანელობა ქვემდებარე საერთო და საუწყებო მილიციის მუშაობას;

გ) მოაწყონ საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველოს მიერ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკების და ოლქის მილიციის სამმართველოების მიერ, დაინტერესებულ ორგანოებთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, საუწყებო მილიციის ნაწილები მათი მოქმედების ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების დასაცავად და აგრეთვე რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დასაცავად იმ ტერიტორიის ფარგლებში, რაც აღნიშნულ დაწესებულებათ და საწარმოთ უჭირავთ;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიონ სოფლის აღმასრულებელთა ორგანიზაციას იმ სოფელ-ადგილას, რომელსაც ისინი მომსახურეობას უწევენ, და განახორციელონ ღონისძიებანი ამ აღმასრულებელთა მუშაობის გასაუმჯობესებლად და განსამტკიცებლად;

ე) უშუალო მონაწილეობა მიიღებიონ მშრომელთა ფართო მასებს მილიციის ორგანოებისათვის დაკისრებული ცალკეული ფუნქციების შესრულებაში, მოაწყონ ამ მიზნით მილიციის დამხმარე ბრიგადები, უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ მუშაობას, გამოიყენონ ოპერატიულად ეს ბრიგადები და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიონ მილიციის ქვემდებარე განყოფილებების და საუბნო ინსპექტორების მიერ აღნიშნული ბრიგადების ოპერატიულად გამოყენებისათვის წარმოებულ მუშაობას;

ვ) მოაწყონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან და საქალაქო საბჭოსთან ადმინისტრატიული გადასახადების დამდები კომისიები და მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში;

ზ) მოაწყონ მილიციის პირადი შედგენილობის სამწყობრო და სასროლ-სატაქტიკო და აგრეთვე სპეციალური და ფიზიკური მომზადება და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ მომზადებას;

თ) მოაწყონ და განახორციელონ მილიციის პირადი შედგენილობის მომზადება და გარდამზადება;

ი) განახორციელონ ღონისძიებანი მილიციის პირად შედგენილობაში სამხედრო დისციპლინის დასანერგავად და განსამტკიცებლად და აგრეთვე ღონისძიებანი მილიციის ქვემდებარე განყოფილებებში და სამწყობრო ნაწილებში შინაგანი სამსახურის და შინაგანრიგების განსამტკიცებლად;

კ) ჩაატარონ პერიოდულად საინსტრუქტივო თათბირები მილიციის სამმართველოს, განყოფილებების და სამწყობრო ნაწილების მომუშავეთა ხელმძღვანელი შედგენილობისა და სათანადო სოფელ-ადგილების საუბნო ინსპექტორებისა და აგრეთვე მოაწყონ მათი მუშაობის აღნუსხვა და კონტროლი;

ლ) უზრუნველყონ, არსებული წესისამებრ, მილიციის მომუშავენი ყოველგვარი დადგენილი კმაყოფით და აგრეთვე საჭურველით და სასროლო მასალით და მეთვალყურეობა გაუწიონ მათ სათანადოდ შენახვას;

მ) განახორციელონ ღონისძიებანი მილიციის მომუშავეთა შრომის პირობების და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოაწყონ საერთო საცხოვრებლები, კლუბები, ლენინის კუთხეები, სასადილოები, მუშათა დახურული კოოპერატივები და სხვ. და აგრეთვე თვალყური ადევნონ, რომ ზუსტად იქნეს შესრულებული მილიციის მომუშავეთათვის მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი;

ნ) განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ მილიცია უზრუნველყოფილ იქნეს ცხენებით.

6. რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) მოაწყონ თავის ტერიტორიაზე საერთო მილიციის საგუშაგო სამსახური და ხელმძღვანელობა გაუწიონ მას, დააწესონ საგუშაგოები, მოაწყონ ღამით დაცვა და პატრულირება;

ბ) მოაწყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვა, კერძოდ, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაცვა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამრეწველო საწარმოების ქონების დაცვა და აგრეთვე მოქალაქეთა პირადი უშიშროების და ქონების დაცვა;

გ) მოაწყონ დაცვის საქმე მათი მოქმედების ტერიტორიაზე მყოფ საბჭოთა მეურნეობებში, განახორციელონ ინსტრუქტირება საკოლმეურნეო ქონების დაცვის საქმეში და შეამოწმონ თვით დაცვის მდგომარეობა;

დ) მოაწყონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა საზოგადო სარგებლობის ადგილებში და აგრეთვე მსვლელობების, დემონსტრაციების და მასური კრებების დროს სადგომ-გარეთ და სხვ.;

ე) მონაწილეობა მიიღებინონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შესრულებაში სოფლის აღმასრულებლებს, მილიციის დამხმარე ბრიგადების წევრებს და სხვ. და ინსტრუქტირება გაუწიონ მათ მილიციისათვის დახმარების აღმოსაჩენად წარმოებულ მუშაობაში;

ვ) აღმოუჩინონ დახმარება სათანადო ორგანოებს ღონისძიებათა გატარებაში იმ სოციალურად მავნებელ მოვლენებთან საბრძოლველად, რაც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, მათხოვრობა, პროსტიტუცია და სხვ.), და აგრეთვე განახორციელონ ღონისძიებანი ხულიგნობასთან, არყის ფარულად გამოხდასთან და შინკარობასთან საბრძოლველად;

ზ) შეასრულონ სასამართლოს განაჩენები განდევნის და გადასახლების შესახებ (იძულებითი მუშაობის შეუფარდებლად), აწარმოონ განდევნილთა და გადასახლებულთა აღნუსხვა და განახორციელონ მათი მოქმედების ტერიტორიაზე სპეციალური ზედამხედველობა მათ მიმართ;

თ) დაასახლონ სასამართლოს წესით გადასახლებულნი და განდევნილნი იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელსაც ისინი მომსახურეობას უწევენ, განახორციელონ ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციისათვის მათ შორის და თვალყური ადევნონ მათ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობას.

7. განსაკუთრებულ ღონისძიებათა განხორციელების სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) ხელი შეუწყონ პოლიტიკური და სამეურნეო კამპანიების გატარებას მათი მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში, ეზრუნველყონ ნორმალური პირობების შექმნა მათი გატარებისათვის;

ბ) მოაწყონ მილიციის მუშაობა სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის საქმეში და ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ მუშაობას და აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის და ქონების დაცვას სტიქიური უბედურების დროს, მოაწყონ დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმე;

გ) ხელი შეუწყონ სათანადო ორგანოებს შრომისა და სატრანსპორტო ბეგარის განხორციელებისათვის და აგრეთვე სხვა სახსრების მობილიზაციისათვის კანონით დადგენილ შემთხვევაში;

დ) განახორციელონ, მილიციისათვის დაკისრებული მოვალეობის ფარგლებში, სათანადო ღონისძიებანი რევოლუციონური წესრიგის დაცვის სავალდებო ღონისძიებათა შესაფარდებლად მათი მოქმედების ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების შემოღების დროს;

ე) აღმოუჩინონ დახმარება სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს, როცა მათ კანონიერ მოთხოვნას წინააღმდეგობას უწევენ, და როცა საჭიროა იძულებითი ზეგავლენის მოხდენა ცალკეულ მოქალაქეებზე ან მოქალაქეთა ჯგუფებზე;

ვ) აღმოუჩინონ დახმარება სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ორგანოებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის განხორციელებაში.

8. საერთო ზედამხედველობის და მოსახლეობის მომსახურეობის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) შეიმუშაონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილებების პროექტები რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფის საკითხების შესახებ;

ბ) მისცენ დასკვნა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილებების პროექტების შესახებ, რასაც სხვა ორგანოები შეიტანენ, როდესაც თვალყურის დევნება ამ სავალდებულო დადგენილებათა შესრულებისათვის ეკისრება მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს;

გ) განახორციელონ ადმინისტრატიული გადასახდელი, რასაც დაადებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი, საქალაქო საბჭო, ადმინისტრატიული გადასახდელის დამდები კომისია და მილიციის ორგანო, და აღმოუჩინონ დახმარება სხვა ორგანოებს, რომელთაც ადმინისტრატიული გადასახდელის დადების უფლება აქვთ, ამ გადასახდელის იძულებით განხორციელების საქმეში;

დ) განახორციელონ ზედამხედველობა იმისათვის, რომ დაცულ იქნეს ვაჭრობის და რეწაობის საადმინისტრაციო წესები, კერძოდ, გაუწიონ ზედამხედველობა სანადირო და სასპორტო იარაღის, სასროლო მასალის, აფეთქებადი და დეტონადი მასალის და აგრეთვე სხვა სპეციალური საგნების ვაჭრობას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოვალეობა დაკისრებული აქვს მილიციას, და გასცენ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნებართვა აღნიშნული საგნების წარმოებისა და ვაჭრობისათვის; ზედამხედველობა გაუწიონ მათ წარმოებას;

ე) გასცენ ნებართვა სასროლო და დაღარული სანადირო იარაღის შეძენისა, შენახვისა და სარგებლობისათვის;

ვ) გასცენ ნებართვა, რომ მათი მოქმედების ტერიტორიაზე მყოფ დაწესებულებათათვის დამზადდეს და გამოყენებულ იქნეს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით;

ზ) განახორციელონ ზედამხედველობა იმისათვის, რომ დაცულ იქნეს წესები რელიგიური შენაერთების შესახებ და აგრეთვე წესები მორწმუნეთა კრებების შესახებ;

თ) განახორციელონ ზედამხედველობა იმისათვის, რომ დაცულ იქნეს წესები ნებაყოფლობითი საზოგადოებების ორგანიზაციისა და მოქმედების შესახებ და აგრეთვე წესები კრებების, მსვლელობების, დემონსტრაციების, მასური სანახაობის და გასართობის მოწყობის შესახებ;

ი) ზედამხედველობა გაუწიონ საზოგადოებრივი ტირების მოქმედებას და გასცენ ნებართვა მათი გახსნისათვის;

კ) მოაწყონ სამისამართო ბიუროს მუშაობა, ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ მუშაობას და მოსახლეობის აღნუსხვას და მოძრაობას;

ლ) მისცენ ვინაობის მოწმობები საბჭოთა მოქალაქეებს;

მ) ინსტრუქტირება და მეთვალყურეობა გაუწიონ ქვემდებარე ტერიტორიაზე სასოფლო საბჭოების მუშაობას მისული მცხოვრებლების მიწერის საქმეში;

ნ) აღმოუჩინონ პირველი დახმარება დანაშაულისაგან და უბედური შემთხვევისაგან დაზარალებულ პირთ, აგრეთვე ავადმყოფთ და იმ პირთ, რომელნიც იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში საზოგადო სარგებლობის ადგილას, გაგზავნონ ეს პირები, უკეთუ საჭიროა, უახლოეს სამკურნალო დაწესებულებაში და გამოიწვიონ სასწრაფო დახმარება;

ო) მოაწყონ ნაპოვნი ნივთების შენახვა, აგრეთვე ეული ოთფეხი საქონლის მიღება და მათი პატრონის ძებნა.

9. კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სანიტარიის ზედამხედველობის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) განახორციელონ საადმინისტრაციო ღონისძიებანი მათი მოქმედების ტერიტორიაზე კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სანიტარიის დარგში;

ბ) ზედამხედველობა გაუწიონ კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სანიტარიის შესახებ გამოცემული დადგენილებების შესრულებას და მისცენ პასუხისგებაში ის პირები, რომლებიც ამ დადგენილებებს დაარღვევენ;

გ) განახორციელონ ღონისძიებანი ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად ქალაქებში და მოაწყონ ამ მიზნით სპეციალური რაზმები;

დ) შეისწავლონ ქუჩაში მოძრაობის ინტენსივობა, მისასვლელი გზები და მათი მდგომარეობა და დააწესონ მოძრაობის საზღვრები ყოველგვარი სახის საქალაქო ტრანსპორტისათვის, აგრეთვე ზედამხედველობა გაუწიონ საქალაქო ტრანსპორტის სარგებლობის წესების დაცვას;

ე) მონაწილეობა მიიღონ სათანადო ღონისძიებათა განხორციელებაში იმ მიზეზების ლიკვიდაციისათვის, რაც იწვევს ავარიას და უბედურ შემთხვევებს საქალაქო ტრანსპორტზე.

10. დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) შეისწავლონ სისხლის დანაშაულის მოძრაობა მათი მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში, წინასწარ აღკვეთონ, მოსპონ და გამოიძიონ დანაშაულობანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აწარმოონ დანაშაულთა და დამნაშავეთა ყოველგვარი დადგენილი სახის აღნუსხვა და რეგისტრაცია და აგრეთვე გასცენ არსებული წესისამებრ ცნობები რეგისტრაციის ხაზით;

გ) შეასრულონ სამეცნიერო-სატექნიკო ექსპერტიზები;

დ) სძებნონ ის პირები, რომელნიც ემალებიან გამოძიებას, გასამართლებას ან განაჩენის შესრულებას;

ე) სძებნონ გატაცებული ქონება, შეინახონ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები ჩადენილი დანაშაულის საქმეზე;

ვ) სძებნონ დაკარგული არასრულწლოვანი ბავშვები 14 წლამდე და აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები, როდესაც საფიქრებელია, რომ ისინი დანაშაულის ან უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდენ.

11. პოლიტიკური მუშაობის სფეროში მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) განახორციელონ ღონისძიებანი ქვემდებარე საერთო და საუწყებო მილიციის მუშაობის პოლიტიკურად უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე ღონისძიებანი მათი პირადი შედგენილობის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიონ პირადი შედგენილობის პოლიტიკურ აღზრდას, მოაწყონ და ჩაატარონ პოლიტმეცადინეობა ამ შედგენილობასთან და აგრეთვე აწარმოონ მუშაობა მილიციის მომუშავეთა საერთო განათლების და კულტურული დონის ასამაღლებლად;

გ) განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ მილიციის ქვემდებარე ორგანოების და ნაწილების პირად შედგენილობაში გავრცელებულ იქნეს შრომის სოციალისტური ფორმები;

დ) წარმართონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების და მილიციის ქვემდებარე ორგანოების და ნაწილების მუშაობა და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიონ მილიციის პრესას და მილიციის კორესპოდენტთა მუშაობას.

III. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების სტრუქტურა.

12. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების სტრუქტურას აწესებს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველო.

ფასი 20 კაპ.

მთავლიტი № 477. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 649. ტირაჟი 1.500.